

საქონი


9
9 თებერვალი
1975 წელი

გამოცემის 52-ე ჟურნალი, № 1451. მაისი, 1975. ფასი 20 ქაპიკი.

1941

ორმოცდახუთის ცხრა მაისს
ზეიძი გადმოგვეფინა! —
ისარა კაცობრიობამ:
ბოროტსა სძლია კეთილმა!
საბჭოთა ხალხმა მსოფლიო
მონობისაგან დაისხნა
და, დროში გამარჯვებისა,
ააფრიალა რაიხსტაგს!
ოთხ წელს მტრის სიკვდილს

ვთესავდით,
ესპობდით არმიებს ჰიტლერის
და გამარჯვების თავთავებს
ოთხ წელს გიმკიდით ხიშტებით!
ჯერადგაგონილ გმირობას,
გამბედაობას იჩენდნენ
და დასცინოდნენ სიკვდილსაც
ჩვენი ღიმილის ბიჭები!
ჩვენ გავიმარჯვეთ ლენინის
ძლევამოსილი პარტიის
და ხალხის ერთიანობით!
მათ—დიდება და პატივი!
ჩვენ გავიმარჯვეთ (რა ძნელი,
რა მძიმე გზა გვაქეს განვლილი!) —
უმაღლეს მთავარსადლობით
ფოლადის კაცის — სტალინის!
არ დაივიწყებს მსოფლიო
მაგიურ სიტყვას—„სტალინგრადს“:
მტრების სამხედრო მანქანა
ამ გმირ ქალაქთან დაინგრა!
სამასი ათას წმინდა და
ჩაუქრობელი სანთელით
ანთია ხსოვნა დაცემულ
სამასი ათას ქართველის!
ეს ხსოვნა, დაუვიწყარი,
საქართველოში ენთება —
კოცონად მარადიულად,
გმირობის სულისკვეთებად!
ოთხ წელს სატირა-პუმორის
ტეგიადქცეული ნიაღრით
მამაცი ჯარისკაციებით
იბრძოდა ჩვენი ნიანგი!
არ იყო შეწუხებული
მაშინ ფურცლების სიმცირით!..
ჯარს და ხალხს რწმენს მატებდა,
ხოკავდა... ჯანსაღ სიცილით!
ჩანგლით შეიჭრა ბერლინში
ჰიტლერელების ბუნაგში —
და რაიხსტაგთან ამაყად
გადაიგრიხა ულვაში!..
კაცობრიობა არასდროს
აღმრ დაუშვებს (ნუ ვდელავთ!) —
რავენსბრუკსა და დახაუს,
ოსვენციმსა და ბუხენვალდს!.
დღეს მინდა, კუელა შინმოსულს,
კველა გმირს გადავეკონ!
უპირველესად — გულმამაც
ქანთარის და ეგოროვს!..
ზეიძობს მთელი მსოფლიო
და იმედებით შექარის
საბჭოთა კავშირს — უძლეველს —
ქვეყნად ომების მეხამრიდს!



1945



საქონლების გამოცხავა

როგორც იქნა, გაზაფხულის მზემ გამოანათა არაბატის ისარაზე. ნაშუადღევს კი საკმაოდ დაცხა.

ბილიკზე მწყიდვად მოდიოდნენ ქართული დივიზიის ქვეგანაყოფის ჭარისკაცები, რომელიც შორეული საგუშავოებიდან თავიანთ მწურებისაკენ მიეშტრებოდნენ.

ზემდევ ჩიტაძეს ლვარად ჩამოსდიოდა სახეზე ოფლი. თეთრი ცხვირსახოცი ამოილო, ოფლი მოწმინდა და მზეს რომ არ შეეწუხებინა, თავზე გადაითარა.

ზღვის მხრიდან გურმანელთა „მესეჩშიტი“ გამოჩნდა, დაბალზე მოფრინავდა.

ჭარისკაცებმა ბუჩქებს შეაფარეს თავი.

თვითმფრინავმა იმ უდაბურ ადგილს წრე დაარტყა და პატარა პარაშუტზე გამობმული რაღაცა შეკვრა ჩამოაგდო, რომელიც ჭარისკაცებს ახლოს დაეშვა.

ამანათი კალათი აღმოჩნდა. „დანაღმული არ იყოსო“, — გიოგიქეს ჭარისკაცებმა და ამანათონ არ მივიღნენ..

შორს ბიჭი გამოჩნდა, ჭარისკაცებისაკენ გამობოდა.

გულამოვარდნილმა მოირბინა, ბუჩქებში ამანათი იპოვა, შემდევ დანით მიწა მოთხარა, პარაშუტი ჩამარხა, კალათს ხელი დაავლო და უკან გაბრუნდა.

დიდი სამამულო რმის მონაწილემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა უზრნალისტმა ვახტანგ ციხა-რულიძემ, ჩვენი თხოვნით, განხენა ყირიმის ფრონტზე მომხდარი ამბები, რომელთა მონაწილე და მნახ თვეითონ იყო.

ნახ. ა. პანდელაძის.
„ნიანგი“, 1945 წ. № 4.

სწორედ ამ დროს სტაცეს მას ხელი ჭარჩაცება. შეპყრობილი გაქცევას შეეცადა, მაგრამ ამოცა პოლკის შტაბში კალათის ტვირთი შემოწმეს. შიგ მაგარი სასმელები, ზაშკი, უცელე და უკუცხმებილით სავსე პარკი აღმოჩნდა ფუკუტზე შემცირდა. ნების ღია ბარათები ნახეს.

მეცრი დაკითხვის შემდევ ბიჭი გამოტყდა, როგორმანელთა თვითმფრინავისათვის თეთრი ცხვირსახოცით უნდა ენიშხებინა კალათის ჩამოგდების ადგილი და ამანათი მამარისთან სტუმრად ჩამოსული კაცისათვის მიეტანა.

ის კაცი მტრის ჯაშუში-მზვერავი აღმოჩნდა. მას ათემევინეს ყველაფერი. წმინდანების სურათები სპეციალურ ხსნარში გაავლეს და ერთ მათგანზე გამოისახა არაბატის ისარას პატარა ჟურე, რაღაცა ნიშნებით.

მეორე დღეს, ღამით, იმ ყურეს ნავით მიაღდა დივებისანტთა ჯუფი, რომელიც ნაპირზე გადასვლისთანავე შეაცყრეს.

ზემდევი ჩიტაძის თეთრმა ცხვირსახოცი ჯაშუშები დააპატიმრა.



— საქონლები სურათია: გუშინ პიტლერი გაიძახოდა, ჩვენი პოზიციიდან დურგინდით რესების დედაქალაკი მოჩანსო, დღის კი რესების ტანკების გხედავ და, თანაც, გერლინით სელ

გარი მეტრეველი

ჩვენი რედაქციის ყოფილი პასუხისმგებელი მდივანი, მოსე ქარჩავა, გულმხიარული, სიცოცხლით სავსე და ხალისიანი კაცი იყო. მოსეს გულიანი სიცილი დღესაც ახსოვთ მის ნაცნობ-მეგობრებს. მას გაჭირვებაც ბევრი ჰქონდა გადატანილი და დარდიც, მაგრამ სწორედ ამ სიცილით იურვებდა გულს, ამ სიცილით კურნავდა სხვის ტკივილსაც. ერთი სიტყვით, ჩვენი მოსე ქარჩავა თავისი სიცილითაც იყო ცნობილი.

მაგონდება მოსეს მონაყოლი ამბავი, რომელიც სწორედ მის სიცილთანაა დაკავშირებული:


ჩვენი ჯარის ნაწილები, ყირიმში, იძულებული გამხდარან, კატაკომბებში შეეფარებინათ თავი. მეტად მძიმე და გამოუგალი მდგომარეობა შექმნილა. ფაშისტები წიგიასავით აყრიდნენ ტყვიებს და გარეთ ცხვირის გამოყოფის საშუალებასაც არ აძლევდნენ ჩვენს მებრძოლებს, რომელიც თანდათან უმცირდებოდათ სანოვავე, ერთი პეტში წყალი საცოცხლის ფასად ჯდებოდა, რადგან მის მოსატანად ტყვიის ქარცეცხლის გავლა იყო საჭირო.

ერთ ასეთ მძიმე დღეს გატაკომბაში ხმა გაისმა: „ქარჩავა! ქარჩავა! საწრაფოდ მეთაურთან!“ მოსეს, რა თქმა უნდა, არ დაუყოვნებია და, როდესაც მეთაურთან მისულა, დაუნახავს მისი ამხანავი, ყოფილი კურნანტი, რომელთანაც საოფიცრო სკოლაში სწავლობდა. მოსეს გადაუკოცნია ამხანავი და გაკირვებია, თუ როგორ მოხვდა ამ კატაკომბაში.

— მე სხვა კატაკომბაში ვარ, ვივარაუდე; რომ შენ აქ უნდა ყოფილიყვავი და, როგორც იქნა, მოვალწიე, მოვედი არა პურისთვის, არა წყლისთვის, არამედ იმისათვის, რომ გავიგო შენ ისევ ისე იცინი, როგორც ადრე, თუ ხასიათი შეგვევალა.

მოსეს ძალიან დიდან უცინია და უთქვამს: მე, რა თქმა უნდა, ისევ ისე ვიცინი, მაგრამ შენ ამის დასადგნად თუ სიცოცხლეს ბუტვები დაკიდებდი, არ მეგონაო.

დიახ! უმძიმეს დღეებშიც იცინდა „ნიანგის“ ყოფილი პასუხისმგებელი მდივანი მოსე ქარჩავა.



„ვაკარაული მორედია“


კდრ განთიად ესაუზმობთ. სუფრაას ვუზივართ კინორეჟისორი ირაკლი კანდელაკი, ოპერატორი ონიკ მაგაკინი, დივიზიის პოლიტგანყოფილების შუშაკები — ელიზბარ მაისურაძე, შალვა ჯეჯელავა, ვანო მაილიანი, ნიკოლოზ მაჭავარიანი, დივიზიის კლუბის მხატვრული ხელმძღვანელი დიმიტრი თავაძე; რედაქციის შუშაკები — ალექსა სულავა, ალიოშა გვინჩიძე, სოთამწყობები — სოსო ყიფიანი, შალვა ჯიქია, აკაკი ნადირაძე, მშექმდავი აპოლონ კალახდაძე, მძღოლი რუბენ ჭელიძე.

კნდელაკმა პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორების გამოქვაბულში პორტგვენით სავსე დიდი კასრი აღმოაჩინა, აღმოაჩინა და მისი გახსნა მოინდომა, მაგრამ შექმერეს, უთხრეს, რომ პოლიტგანყოფილების უფროსის, ანდრია რამაზაშვილის ნებართვის გარეშე არ შეიძლებოდა ამის გაკეთება.

ირაკლიმ მაინც თავისი გაიტანა, სადღაც ბურღა მონახა, კასრის ძირი გამოხვრიტა და მათარებში რაკრაკით წამოგიდა ღვინო.

დილით, დაბომბება რომ დაიწყო, კარგად შექვითებული გახლდით.

— ვერაფერს დაგვაკლებთ, ფაშისტებო, თქვენი ბომბებით! ტყუილა ხარჯავთ! — გაიძახოდა შეზარხოშებული ირაკლი კანდელაკი.



185-ე პოლკიდან პოლიტგანყოფილების უფროსი ინსტრუქტორი, უერნალისტი გრიგოლ ზაქარია დაბრუნდა. მოკლე გადარბენებით, მიწაზე დაწოლა-ადგომით დაქანცულმა, რფლში გაღვრილმა გრიშამ, ჯუბა გაიხადა და დაბერტყა.

— უმ! ძლიერ გამოვაღწიე! — ჩაილაპარაკა მან, — დღეს უფრო გაძლიერებით ბომბავენ ეს წყეულები!

— ალბათ, შიშისაგან სული გაგძერა! — გაეცემრა კანდელაკი.

— შიში რა შეაში! — გაეპასუხა ზაქარია, — სრულიადაც არ შემშინებია, მხოლოდ ბომბებისაგან დანგრეულ-ჩახერგილმა გზამ გამტანჯა, ძნელი გადასალახავი შეიქმნა.

— ერთი ამას დამიხედეთ, რა უშიშარი ბრძანდება?! — წამოიძახა ირაკლიმ.

— ბრძოლებში ნერგები გაგვიმაგრდა, შიშის გრძნობა მოჩრდებოდა, — თქვა დიმიტრი თავაძემ.

— სრულიადაც არ მეშინია! — წამოიძახა შალვა ჯეჯელავამ.


— ახლა, კარგად გაბრუქულს, არც მე მეშინია! — სიცილით თქვა ირაკლიმ, — ცა ქედად შიმაჩინია და დედამიწა — ქალამნად. მაგრამ, როცა გამოფხიზლდებით, შიშიც თავისთავად დაგიბრუნდება!

კანდელაკმა თავისი საყვარელი სიმღერა — „ფანჯარში მტრედია“ — წამოიწყო.

სტროფი დამთავრებული არ ჰქონდა, როცა ახლოს ბომბი დაეცა და მისი აფეთქების ტალღა გამოქვაბულის კარგი შემოანგრია...

გამოქვაბულში თმაბურძნილი, კბოლებდაკრეჭილი ძაღლი შემოვიდა. იგი ირაკლი კანდელაკს მიეკრა ფეხებთან. საშინლად ცახცახებდა, ჭეშყიანი წყლით ერთიანად გალუმპულიყო.

— აპა, ჩემი მტრედიც მოვიდა! — თქვა ირაკლიმ. ყველამ გულიანად გადაიხარხა.



„ნიანგა“, 1941 წ., №26

ნახ. გ. ვირცხალავასი

— საკვირველი, ზრაუ, რომორ შორიდან მიცნო თქვენმა ქაღლმა?!

— ყოველს აქვს კარგი, მბლებზე დაგვიძლი!

ტყვიანი

ჩვენი ჯარები ტრიუმფალურად მიიწევდნენ წინ, გერმანიის ტერიტორიაზე. დღეზენამდე ოცი კილომეტრიც არ იქნებოდა დარჩენილი. ჰიტლერელებმა სწორედ აქ გადაწყვიტეს, სასტიკი წინა-ოლმეგობა გაეწიათ ჩვენთვის. მთელი ღამე ისმოდა სროლის ხმა და ტანკების გუგუნი...

გათენდა. წყნარი, მზიანი დილა ღადგა. ზურგისაკენ მოდიოდნენ მაქანები, ნელა მოაბიჯებდნენ მსუბუქად დაჭრილები, მოპყავდათ ტყვები...

— ბოშკოც ბრუნდება ბრძოლის ველიდან! — ისტმრა შტაბის უფროსმა.

ბოშკო ჩვენი შტაბის ოფიცერების მზარეული იყო. ალბათ, წინა ხაზზე მყოფ საუზმე წაულო და ახლა ვაჟკაცურად მოაბიჯებდა, ცარიელი ქვაბით ხელში.

მოულოდნელად ტყრდან გერმანელები გამოვიდნენ და ბოშკოსთან მიიჭრნენ. ბოშკო არ გაუ-

ჩერდა, გერმანელები აედევნენ. ერთ-ერთი მათგანი წინ დაუდგა და ხელებით ლაპარაკი დაუწყო. ბოშკომ გაბრაზებით აუარა გვერდი. გერმანელები მაინც არ ეშვები ღნენ და ფეხდაფეხ მოსდევ-დნენ ჩვენს მზარეულს.

ვერ მივხვდით, რაში იყო საქმე.

შტაბის უფროსმა ჯარისკაცების გაგზავნა გადაწყვიტა, მაგრამ, ამ დროს, თითქოს რაღაცაზე შეთანხმდნენ, სამივენი წყნარად გამბრუნდნენ უკან.

როცა მოგვახლოვდნენ, გახრებული გერმანელები სხვა ტყვებს შეუერთდნენ.

— რა უნდოდათ ის ფრიცებს? — ჰკიოთხა შტაბის უფროსმა ბოშკო.

— არ მომეშვნენ, ტყვედ წაგვიყვანეო. მაგათვის მეცალა? მერე შემეცოდნენ...

ყველას გაეცინა.

— რომ დაგცილდნენ, რა გითხრეს? — ჰკიოთხა ვილაცამ.

— გმაღლობთო...

— შენ რა უპასუხე?

— ჯანდაბას თქვენი თავი-მეთქე! გუჭარდათ და თავი დამიქნიეს.

გიგლა გახტავი

ესა სახელი ნოვემბერი



ცა. ვ. გაგაშვილისა.

„ნიანგი“, 1945 წ., №7-8.

— შარშან, პირველ მაისს, ჩვენი ნაწილი მოსამაში, ზითელ მოძღვანები, თავის საბრძოლო ქადაგების ათვალისწილებები!

— წლებანდელ პირველ მაისს კი ჩვენმა ნაწილია ბერლინში თავისი საბრძოლო ქადაგებისადმე!

მე ვადიდებ სასვენ ნიშნებს,
ვიცი მათი ფასი.
წერტილიდან წერტილამდე
ძლიერ მიმქონდა აზრი.

არასოდეს არ ვარგავდი
მძიმეების იმგლებს
და ბოროტად არასოდეს
ვიყენებდი მძიმეს.

ზოგჯერ, როცა სიტყვის შემდგებ,
გვრ დავწერდი წერტილს
და ვერც მძიმეს ვერ დავწერდი,
წერტილ-მძიმეს ვწერდი.

ბეგჯერ, ტყეში გზადაბნეულს
ვგავდი მონადირეს,
შაგრამ მუდამ ფონს გაგვავდი
დეფისსა და ტირეს.

ხშირად, როცა არ მშეალობდა
შთაგონების ღმერთი,
ბეგშეჭვ გადავურჩენიგარ
ერთგულ მრავალწერტილს.

ხელი ნელა გავწაფე და
ნელა ვაგარჯიშე,

არ ვწყალობდი კითხვის ნიშნებს
და ძახილის ნიშნებს.

არც ცალ-ცალებ და არც ერთად,
ერთმანეთის გვერდით,
ორწურტილსაც არ ვწყალობდი,
იშვიათად ვწერდი.

იშვიათად ვაწუხებდი
ფრჩხილებსა და წინწკლებს
(დრამატურგს და პროზაიკოსს
გამოადგეთ, იქნება!)

მე ვადიდებ სასვენ ნიშნებს,
ვიცი მათი ფასი,
წერტილიდან წერტილამდე
ისევ მიმაჯეს აზრი.

სასვენ ნიშნებს ახლა ყველა
ყურადღებას აქცევს,
ზოგი — კარგად, ზოგი — ცედად
ზოგი სულაც არ წერს.

მე კი ისევ ერთგული ვარ
ძველი მონაბოვრის:
სიტყვებს ვეძებ, რომ ჩავწერო
სასვენ ნიშნებს შორის.

ვახტანგ ჯავახეაშვილი



ამას წინათ ომის ვეტერანებთან მოვჭვდი. ჰყებოდნენ ამ მთისას, იმ მთისას. განასაკუთრებით თადარიგის ურთი სერვანტის ნაამბობმა დამანანტერესა:

„ჩვენი ჯარები მდინარე ოდერს მიუახლოვდნენ. სალამო ხანი იყო. შეტევაზე გადასვლის წინ ბრძანება მივიღეთ. ორიოდე საათით შეგვესვენა.

ლაბადა გაშალე და მივწერი.

— ბაგრატიონი, მეთაურთან! — მოძესმა ზემოდან. სანგრის პირს უფროსი სერვანტის — პრიხოდკოს სილუეტი დავლანდე. ისე მედიდურად გადმომცეკვეროდა დონიჯშემოყრილი, თითქოს ის იყო ბაგრატიონი და მე — პრიხოდკო.

— ბაგრატიონი! მოენე გვჭირდება, თანაც ოფიცერი უნდა იყოს! — ამისნა მეთაურმა, — შენ გერმანული კარგად იცი! ასე რომ, შენი ენისა და მხარეჭების პატრონს, არ გაგიჭირდება!..

შემდეგ წუთით ჩაფიქრდა და პრიხოდკოს მიუბრუნდა:

— სერუანტო! ბაგრატიონს გაჰყებით!

ოციოდე წუთში მე გერმანელი ოფიცერის, ხოლო პრიხოდკო რიგითი ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილები მოწინააღმდეგის პოზიციებისაკენ მივიწევდით. გავლიერ თუ არა წიწვიანი ჭალა, მდინარეს მივადექით. ქვევიდან ლაპარაკი შემომესმა, ქარი საწინააღმდეგო მიმართულებით უბერავდა და სიტყვები კარგად ვერ გავარჩიე.

— აბა, სერუანტო, ახლა მე ვარ შენი უფროსი! ხომ ხედავ ამ სამხრეებს?!

ზედმეტი მოძრაობა არ დავინახო! უხმოდ გამომყევი!

პრიხოდკო უკმაყოფილოდ დამთანხმდა. როცა ახლოს მივედით, გერმანელი ოფიცერი დავინახე. ჯირკე იჯდა და სიგარეტს უკიდებდა.

— აქ რას აკეთებთ? — გამოველაპარაკე გერმანულად. ოფიცერმა თავი ჩემქენ მოაბრუნა, ხმა არ გაუცია, ისე განაგრძო თავისი საქმე. როცა მოუკიდა, ზანტად გამომეპასუხა:

— მოენეს დავექებ!

კინალმ ვუთხარი, შენ აგაშენა ღმერთია, მეც მაგ საქმეზე ვარ წამოსული მეთქი. ის იყო, რევოლვერისკენ ხელი წავილე, რომ უკანიდან პრიხოდკოს მოგუდული ღმული მომესმა. ელდანაკრავით შევტრიალდი. სანამ რაიმეს მოვაზრებდი, გერმანელი ზურგიდან დამატება, ხელი ამომიტრიალი და რევოლვერის ტარი კეფაში ჩამცხო...

გონს რომ მოვედი, მიწაზე ვეგდე ხელფეხშეკრული, თავზე მივარე დამნათოდა. ჩემს გვერდით პრიხოდკო იდო

გაკოჭილი. ორივეს პირი ჩვრებით გვქონდა გამოტენილი.

— პირს იმ პირობით გაგითავისუფლებ, თუ ლრიალს არ მორთავ! — მითხრა აფიცერმა. მე თავი დავუშნიო. მან პირიდან ჩვრები გამომაღლო. პარი ლრმად ჩავისუბოთქე და მოვთხოვე, ხელებიც გაეხსნა.

— მამა გიცხონდა! — ქართულად ალაპარაკდა გერმანელი. ვიტიქრე, ამ ჩემი ცოდვით სავსეს ისე მაგრად ჩაურტყამს რევოლვერის ტარი. რომ უკვე ილუზიები დამეტყო-მეთქი. მაგრამ როცა იმ რო ლერ ქართულს მაღლიანი მეგრული გინებაც მოაყოლა, ვეღარ მოვითმინე და ავბავლდი:

— დედას გაფიცებ, შენ თბილისის უნივერსიტეტში ხომ არ სწავლობდი, გერმანული ენის ფაკულტეტზე?

გერმანელი ჯერ კარგად დამაკირდა, უმდეგ თვალები გაუფართოვდა და მეტგერა:

— ბიჭო, უშანგი არა ხარ შენ, ბაგრატიონი?! ვერ მიცანი, ჩქიმი ჯიმა?! რომეო ვარ, მაისაია..

სახტად დარჩენილი პრიხოდკო და ის ორი ჯარისკაცი გაოგნებულები მოგვერებოდნენ.

იმ ღამეს მე და მაისაია დავალება პირნათლად შეგვარულეთ: ორი გერმანელი ოფიცერი მივგვარეთ სარდლობას. დილით მაისაია ჩემს პოლქში ჩარიცხეს და ერთად ვიბრძოდით ბერლინამდე, გამარჯვებამდე“.

თამაზ პეიზალი



ნახ. გ. ფირცხალავასი

— ნომერი რაზომ არ მოგვცა?
— კდრე სასტუმროს კდმინისტრატორად მუ-
შეობდა!



იაპონურ გაზეთ „ნიპონ ქეილზაის“ ცნობით, ამ ქვეყანაში ძალზე ძეირია კბილების მქურნალობა. გარდა ამისა, ავალმყოფები წლინახევრითა და ორი წლით ადრეც ეჭერებიან კბილის ექიმთან მიღების რიგში. ეს მდგომარეობა გაითვალისწინა ერთ-ერთმა ტურქულმა ფარმატ. მისი დანგარიშებით, სამხრეთო აღმოსავლეთ აზის ქვეყნებში კბილის მქურნალობა, საგზურის ჩათვლით, 5-10-ჯერ იაფია, ვიღრე იაპონიაში.

ნახ. ლ. ფავლენიშვილის

— თქვენი ქადაქის ღირსშესანიშნაობანი რად
გვინდა?! კბილის ექიმის მისამართი მოგვეცით!



— ბორჯომიდან, კიროვის ქუჩის პირველი შესახვევის პირველი სახლის მცხოვრები მოგ-
მართავთ თხოვნით: გვიწყალობეთ წყალი!

— რას არ გაიგონებს კაცი! ჩვენ ვაჟა-ფშა-
ველას პროსპექტიდან ან ოქტომბრის რაიონის ტანობის ჩიხის მცხოვრები გვევრნეთ! საიდან ხართ, ერთხელ კიდევ გაიმეოროთ!

— ბორჯომიდან ვართ და წყალს გთხოვთ,
დასალევ წყალს!

— წყალის წყალი თუ ვერ მოგიხერხეთ, შე-
ვეცდებით, ბორჯომში რომელიმე მინერალური
წყალი მაინც გამოგიგზავნოთ!

— გელით წყურვილით გულგაწყალებულები!

— თბილისის აეროპორტიდან ვირეკავ, ძმათ
ნიანგო! სოხუმიდან მშვიდობით ჩამოვარინდი
და ტაქსით მინდა ქალაქში შემოვადე!

— მერედა, შემობრანდით, ვინ გიშლით?
ტაქსი ვერ ნახეთ, თუ რაშია საქმე?

— ტაქსი კი ვნახე, მაგრამ მძღოლთან ვერ
მოვრიგდი. ასე მეუბნება, წასკლა-წამოსელისა
უნდა გადაიხადოთ! იქნებ, თქვენ მოგვარიგოთ!

— ალ! ალ! ჩოხატაურის რაიონის სოფელ
ვანიდან გაწუბებთ, საყარელო ნიანგო! ჩვენ
ბათუმელები ვართ და ლანჩუტში ვაპირებთ
გამგზაგრებას!..

— ჩვენ ჭიათურის რაიონის სოფელ ბერეთი-
სიდან გირეკავთ!..

— დიახ, გისმენთ! ილაპარაკეთ! თბილისე-
ლები მიჩვეულნი ვართ ტელეფონზე სამ ხმაში
ლოაპარაკებ!

— გზა არ გვივარგა, გზა! დაგვეხმარე!

— მუხრანიდან ვართ, ჩვენო ნიანგო, დღე
ვეუბაობთ და საღამოს კი კულტურულად გვინდა
დავისვენოთ! ამისათვის ყველა საშუალება გვაქვს
და, თითქოს არცა გვაქვს!..

— ეს კი ვერ გავიცე! „გაქვთ და არა გაქვთ?“

— ახლავე მოგახსენებთ: გვაქვს კლები, ბიბ-
ლიოთება, კინო, ტელევიზორი, მაგრამ, უსინათ-
ლოდ ყველაფერი ჩირადაც არ დირს!

— სულ არა გაქვთ ელდენი?

— როგორ გვეადრებათ, დროდადრო დღისით
გვესტუმრება ხოლმე...

შ. სიხარულიძე

ვერ წარმოიდგენ, ნიანგო,
სოხუმში თუ რა დღეში ვართ! —
მოგეხსენებათ, ზღვისპირეთს
ხშირად წვიმია და თქეშია!..
შავ ქოლგებს ვნატრობთ, საწვიმრებს!...
არ ჩანს!.. გულს ცეცხლის მოლებით
მამაკაცებიც დიაცია
დავდივართ ჭრელი ქოლგებით!
არადა, წვიმით დამბალნი,
ხურვების ალში ვიწვებით!..
გრიპის ირუსი დავაფრთხეთ
ამდენი ზველა-ცხიკვებით!..
ცხუმის თავეცებს ჩოქვით ვთხოვთ, —
ვიღრე სულ გავიწირენით, —
ან ქოლგა-„პლამხი“ მოზიდონ,
ანდა, აკრძალონ... წვიმები!

სოხუმელთა დავალებით ამირან მიძაუტარე

საქართველოს კოლეგია: გ. პოლადავა (ქ/წ. გ. გოგია), ქ. კაციაშვილი, ქ. ლოლუა, ქ. ლომაშვილი, ქ. ალაგოვანი (მხატვა: რამა)

© სახისისა და იურის ქურალი „ნიანგო“.

© სახისისა და იურის


7-1975

75-550

ნონგი
76137



ნახ. დ. მუთათელაძისა, „ნონგი“, 1945 წ., №7-8.



ნახ. გ. ისაევისა, „ნონგი“, 1944 წ., № 7-8.

„ძღვენალი არმიის“ სარდალი



ნახ. ს. ნადარიშვილისა,

„ნონგი“, 1944 წ., № 5-6



ნახ. გ. ისაევისა, „ნონგი“, 1945 წ., № 15-16.

„ძღვენალი არმიის გურთი და მოდანი